წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ოთხშაბათი 13 ივლისი

# სამშობლო

№ 403

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან [illegible] ბულ განცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 11 ივლისიდან ახალი პროგრამა.

**გომონის ქრონიკა.**

## დორიან გრეის სურათი.

ოსკარ უაილდის ცნობილ რომანის შინაარსით. ძლიერი დრამა 6 ნაწილად საიმპერატორო სცენის მსახიობის გ. ე. მეიერხოლდის სცენარიით, რეჟისორობით და მონაწილეობით, მის მიერვე დადგმული. მონაწილეობენ: ქ-ნნი იანოვა, ერნიტან, ბელოვა, უვაროვა და ბ-ნნი: ლევიტანი, ვოლკოვი და სხვანი.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 14 ივლისიდან ნაჩვენები იქნება:

ინგლისელთა ჯარი მოსკოვში

ბუნებრივი, სკობელევის კომიტეტისა.

ოქროს ოცნების სიზმარი ფლორენტიული ლეგენდა 4 ნაწილად მხატვრულად დადგმული გომონის ფაბრიკისა, ქ-ნ სუსანა ლედვეს და ბ-ნ ტალვას მონაწილეობით. მთელი სურათი ფერადებითაა შესრულებული.

გადაცმულის თავგადასავალი.

სახუმარო.

ელექტრო „ამპირ" თეატრი

ორშაბათიდან, 11 ივლისიდან ახალი პროგრამა.

## და გაჰქროლეს ჩემსა რაშებსა.

ძლიერი დრამა ოთხ ნაწილად ცნობილ რუსულ სიმღერის შინაარსზე, ცნობილ მსახიობთა, ბ-ნ ბაკშეევისა, ქ-ნ ორლოვისა და ქ-ნ პანოვის მონაწილეობით.

თმა ჭაღარა მოტრფიალე კომედია ფარსი 2 ნაწილად ცნობილ მსახიობის კამალ დე რიზის მონაწ.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 14 ივლისიდან ნაჩვენები იქნება:

**გომონის ქრონიკა.** მიმდინარე ამბები.

ნევის პროსპექტი

დრამა ოთხ ნაწილად ნ. ვ. გოგოლის მოთხრობის მიხედვით.

მზარეული ქალის შურისძიება.

სახუმარო.

**ექიმი** ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვია მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი** ი. ჩარექიშვილი ქალაქ. სავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.

მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

**აძლევს გაკვეთილებს**

**ფრანგულ ენისას.**

იკითხეთ „სამშობლოს" რედაქციაში.

დ. ლაილაში.

კბილის ექიმი

**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს.

სახლი ნესტორ კაჭკაჭიშვილისა.

**ს უ რ ა მ ი.**

გამოცდილი მასწავლებელი

**ამზადებს მოწაფეებს.**

მისამართი: იტრია, სახლი ლურსმანიშვილისა.

245 3—1

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**" რედაქც.

**ვიყვან მოწაფეებს** ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში.

ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. აზორინის ქუჩა, სახლი დიმიდოვის, სტუდენტი

244 ა. ზ. თელაია. თვ.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

გულდათუთქული დამწუხრებული და გაუბედურებული დედა ვერა დავითის ასული უგრეხელიძისა თავის ოჯახით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას უძვირფასესი შვილისა, სტუდენტის

### არჩილ პლატონის ძის უგრეხელიძისას,

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე 13 ივლისს, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 5 საათზე, საკუთარ სახლიდან (ივანოვის ქუჩა, № 65).

პანაშვიდი დანიშნულია საღამოს 6 საათზე.

მეუღლე ნინა ივანეს ასული აბაიშვილი—ცინცაძისა, მშობლები: ეფროსინე და გრიგოლი (გიგილო), ძმები: მაქსიმე, ფარნაოზი და მელქისედეკ ცინცაძეები აუწყებენ ნათესავთ მეგობრებსა და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი მეუღლე პირველისა, დაუვიწყარი შვილი მეორეთა და ძვირფასი ძმა მესამეთა

### გიორგი გრიგოლის ძე ცინცაძე.

გამოსვენება მოხდება ქ. ქუთაისში ლევაშოვის ქუჩაზე, მარიამ ხარაზოვის სახლიდან 13 ივლისს დღით ოთხშაბათს, ნაშუადღევის 1 საათზე და გაასვენებენ დ. ჩოხატაურში.

დაკრძალვა მოხდება ფარცხმის სასაფლაოზე კვირას, 17 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზე. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს $7^1/_2$ საათზე. 1—1

## განცხადება.

სადგურ რიონზე **დავკარგე** რედიკიული, რომელშიაც მქონდა მეტრიკული, მოწმობა სხვადასხვა ქაღალდები და ათი მანეთი ფულად. მპოვნელს ვსთხოვ ფული მიიღოს და მოწმობები კი დამიბრუნოს, ძლიერ საჭიროა. ყოველ შემთხვევაში კიდევ საჩუქარს მიიღებს 10 მანეთს. ივლიტა სიმონის ასული ტრიიან-ნეზაბუტოვსკაია.

ადრესი: რედაქცია „სამშობლო".

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 11 ივლისი. მდინარე ლიპაზე გერმანელები სოფ. გალიჩინედან გავდევნეთ, წამოვიყვანეთ ტყვეები და ხელთ ვიგდეთ ტყვიის მფრქვეველი. 8 ივლისს ლიპაზე სოფ. კოლმოვთან მთლიანად დავგვნებდა ავსტრიელთა ერთი როტა, რომელშიაც 193 კაცი იყო.

კავკასიის ასპარეზი.

კავკასიის არმიის წინსვლა მარჯვედ ვითარდება. 9 ივლისს მთელი დღის განმავლობაში ოსმალთა დიდმა ძალებმა რაიუტთან ჩვენ ჯარს შემოუტიეს, იერიში მოჰქონდათ. როგორც ბრძოლის პირით ისე ფრთებით, მაგრამ სროლითა და კონტრიერიშით ვაიძულეთ შეეწყვიტათ შემოტევა

შენიშვნა: პოლკ. ტატოროვის სიკვდილის დაწვრილებითი ცნობა (შტაბისგან 8 ივლისი). პოლკოვ. შრაპნელის ტყვიით დაიჭრა გულში და დაიძახა „ვკვდები"-ო, შემდეგ წამოვარდა, შეჰყვირა „წინ ლაშქარო" და ამ სიტყვებით მოკვდა

**პეტროგრადი.** 10 ივლისი. შავი ზღვის პირას ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. ფოლუ და შესამჩნევად წაიწიეს წინ სამხრეთით. ჩვენ ხელთ ვიგდეთ მრავალი ტყვე და სასულიერო მწვანე დროშა. მდ იეშიბ-ირმაკის მიდამოებში კალკიტ-ჩევთლივი მოსსულის მიმართულებით რევანდუზის მიდამოებში ჩვენ ჯარს ოსმალთა დიდი ძალებთან მოუხდა ბრძოლა.

შენიშვნა: 7 და 8 ივლისს ჩვენ დავატყვევეთ 370 აფიცერი (მათში 1 გენერალი და ერთი პოლკოვნიკი) 13700 ჯარის კაცი და 10 ზარბაზანი. ამნაირად გუშინდელ ცნობაში ნაჩვენები ტყვეთა რიცხვი და დავლის რაოდენობა გაიზარდა. დღემდე ტყვეთ წამოყვანილი გვყავს 27000 კაცი და 40 ზარბაზანი.

წინსვლა გრძელდება. დამატებითი ცნობებით გიუმიშხნის აღების დროს ჩვენ ხელთ გვიგდია, არა ორი ზარბაზანი, არამედ ექვსი. გუმიშხანის დასავლეთით ბალაბანდაღლარის სიმაღლეებზე, 200 ასკერი დავატყვევეთ და მოწყობილება წამოვიღეთ.

**პარიზი.** 10 ივლისი. მაისის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ ოდნავ წინ წავიწიეთ. ფლერის მიდამოებში ფრანგებმა დაატყვევეს 70 კაცი. დანარჩენ ასპარეზზე საყურადღებო არა მომხდარა რა. მიუხედავათ დილის ოფიციალურ ცნობისა, ფრანგთა ყველა ჰაეროპლანი უვნებლად დაბრუნდა

**პარიზი.** 10 ივლისი. შუადღის ოფიციალური ცნობა. მდ სომმის ასპარეზზე საარტილერიო სროლაა. სოიკურის სამხრეთით. გერმანელთა იერიში უშედეგო გამოდგა. მაასის მარჯვენა მხარეზე ფლერის მიდამოებში საარტილერიო სროლაა. შაპელ სენტ-ფინის მისავლებში ხელის ყუმბარებით ბრძოლა მოხდა. დანარჩენ ასპარეზზე ღამემ წყნარად ჩაიარა.

**ჰავრი.** 10 ივლისი. ბელგიის ოფიციალური ცნობა. 9 ივლის დღე ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა, მხოლოდ გენიუდის მიდამოებში ბელგიელთა არტილერიამ გერმანელთა ბატარეა ჩააჩუმა. გეტრასთან ბელგიელთა არტილერიამ გერმანელთა საველე სიმაგრეები დააზიანა.

**ლონდონი.** 11 ივლისი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. დღეს მთელ ასპარეზზე პოფზერიდან გილომამდე ბრძოლა განახლდა, შესამჩნევად განვითარდა და ნამეტანი მკაცრი ხასიათი მიიღო გილომთან, სადაც გერმანელები დიდ წინააღმდეგობას უწევენ ინგლისელებს და მრავალ ტყვიისმფრქვეველს ამოქმედებენ. სხვა ნაწილებშიაც ბრძოლა გამკაცრდა, ჯერჯერობით გარკვეული ცნობები წინ წაწევის შესახებ არ მიგვიღია. დღეს, ინგლისელებმა კვლავ აიღეს მთლიანად სოფ. ლონგვალი, მხოლოდ გერმანელებმა ჩრდილოეთის ნაწილი ჩაუგდეს ხელში. ამნაირად გილომის განაპირები ორჯერ ხელიდან ხელში გადადიოდა.

**პარიზი.** 10 ივლისი. ოფიციალური ცნობა საღამოს 11 საათისა. გარდა საკმაოდ ძლიერ საარტილერიო ბრძოლის მდ. სომმის ჩრდილოეთით, მთელ ასპარეზზე არავითარი საყურადღებო არა მომხდარა რა. მფრინავთა მოქმედება. 8 ივლისს ფრანგთა მფრინავებმა ქ. ვინიელს დაუშინეს, 9 ივლისს ღამეს სად. ტიონვილს, სადაც სამი ცეცხლი ავარდა. ამას გარდა ყუმბარები ჩამოყარეს არნაილსალანსა და სენტერნში. 10 ივლისს მფრინავებმა ტიონვილს სამხედრო შენობებში ყუმბარები ჩამოყარეს. ყველა ამ ექსპედიციების დროს ფრანგებმა ჩამოყარეს 115 ყუმბარა 9 ივლისს 12 საფრენისაგან შემდგარი საჰაერო რაზმმა ყუმბარები დაუშინა ქ. მიულჰეიმის სამხედრო შენობებს მდ რეინის მარცხენა ნაპირზე. სადგურს და ყაზარმებს მრავალი ყუმბარა მოხვდა, რამაც საგრძნობლად დააზიანა შენობები. უკან დაბრუნებისას ფრანგთა საჰაერო რაზმს შეებრძოლა რამდენიმე გერმანელთა საფრენი, ოთხი მათგანი ფრანგებმა ჩამოაგდეს. ორი ფრანგთა ჰაეროპლანი გერმანელთა მიწა წყალზე ჩამოვარდნილა. გუშინ გერმანელთა შორის მსროლელმა ზარბაზნებმა რამდენიმე ყუმბარა ესროლა ბელფორს. გერმანელთა მფრინავმა დილით დაუშინა, ზარალი უმნიშვნელოა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

მოკავშირეთა სასარგებლოთ ომში ჩარევის მომხრეები ყოფილან რუმინიაში.

ვენიზელოსს დიდი იმედი ჰქონია საბერძნეთის პარლამენტის მომავალ არჩევნებისა. იგი დარწმუნებულია, რომ გამარჯვებული მოკავშირეთა მომხრეები დარჩებიან.

ავსტრიის რეიხსტაგის (პარლამენტის) ყოფილი წევრი ექ. ბატისტი, ჩამომავლობით იტალიელი, სასამართლოს დადგენილებისამებრ სიკვდილით დაუსჯიათ, რადგანაც იგი იტალიის ჯარში იბრძოდა ავსტრიელების წინააღმდეგ

ბუქარესტის ცნობებით ბულგარეთის პარლამენტში ოპოცია გაძლიერებულა და მთავრობას ეშინია სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვა არ უარყოს პარლამენტმა.

გერმანელთა მიერ დაპყრობილ ფრანგების ქალაქებში 14 ივლისს ფრანგების როვნულ დღესასწაულის დღეს საზეიმო წირვა გადაუხდიათ მცხოვრებლებს საყდრებში.

გერმანიაში ყველა სპეციალისტი პროფესორი და უკანასკნელ კურსების სტუდენტები ჯარიდან დაუბრუნებიათ, რათა იმუშაონ იმ მასალების დასამზადებლათ, რომელიც გერმანიაში არ მოიპოება და გარედანაც არ შეაქვთ.

ვარშავის გენერალ გუბერნატორს პოლონეთში მყოფ რუსეთის ქვეშევრდომთათვის რუსეთში დაბრუნების ნება დაურთავს. მხოლოდ, ვინც 17 წელს არის გადაცილებული და ან ჯერ არ მიუღწევია 50 წლ. მათ ეკრძალებათ რუსეთში გასვლა

გერმანიის კანცლერს ბოლო დროს მოუწვევია ყველა პარტიის ლიდერები და მათთვის აუხსნია თანამედროვე პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობა ქვეყნისა.

# ომის დღიური.

— —

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** მთელ ასპარეზზე დღეჲ მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ რიგის პოზიციების მიდამოებში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა.

**კავკასიის ასპარეზი.** რუსის ჯარის მარჯვენა ფრთა ანვითარებს თავის წარმატებას. ზღვის პირას აუღიათ ქალ. ფოლუ. ამ ქალაქის აღების შემდეგ სამ ხრეთით გაუწევიათ წინ და წარმატება უნახავთ. მდ. იაშიმ-ირმაქის მიდამოებში რუსებს რამდენიმე მნიშვნელოვანი სიმაღლეები დაუპყრიათ. მოსსულის მიმართულებით რევანდუზის აღმოსავლეთით ოსმალებს დიდ ძალი ჯარი მოუგროვებიათ და შემოტევა დაუწყიათ. რუსებს ოსმალნი შეუჩერებიათ. დამატებითი ცნობების მიხედვით რუსებს გუმიშხანეს აღების დროს ექვსი ზარბაზანი ჩაუგდიათ ხელში. რუსებს ამ ბრძოლის პირზე მრავალი ტყვე ოსმალო წამოუყვანიათ.

**დასავლეთის ასპარეზი.** ბელგიელთა არტილერია ენერგიულად მოქმედებს, რამდენიმე ალაგას გერმანელთა ბატარეები ჩააჩუმა და მათი საველე სიმაგრეები დაანგრია. გერმანელები სუსტად უპასუხებდნენ. პოზიერსა და გილლომს შუა კვლავ ატყდა ძლიერი ბრძოლები, რომელთა დამწყებნიც ინგლისელები არიან. ინგლისელებმა აიღეს ისევ ქ. ლონგვალი, მაგრამ მალე გერმანელებმა მისი ჩრდილოეთი ნაწილი დაიბრუნეს. გერმანელები დიდ წინააღმდეგობას უწევენ ინგლისელებს და ტყვიის მფრქვეველებით ფართედ სარგებლობენ. ჰაერში ბრძოლა გაძლიერდა გერმანელებმა დაჰკარგეს ოთხი საფრენი მხოლოდ ფრანგებმა—ორი. ფრანგების მფრინავები ენერგიულად მოქმედებდნენ. ვერდენთან ფრანგებმა ოდნავ წაიწიეს ფლერისთან. გერმანელებმა ბელფორს შორს მსროლელი ზარბაზნები დაუშინეს.

**იტალიის ასპარეზი.** ჩვეულებრივი ბრძოლებია მთების გასავალებში.

---

სერბიაში ავსტრიელებს ხორბალი ჩამოურთმევიათ გამოქცეულ სერბიელებისათვის და მით სახელმწიფო მიწები დაუთესიათ.

— —

გერმანიის ასპარეზზე გერმანელებს ახალი ხერხი მოუშველებიათ, ერთგვარ ოხშივარს უშვებენ, რომელიც მოწინააღმდეგის ჯარის კაცებს ძლიერ სიცილს ჰგვრის და აოცებს.

— —

ჩერნოგორი-ს აჯანყებაში ზოგიერთ ალბანელებს მიუღიათ მონაწილეობა.

გერმანელები არა ჰმალავენ ინგლისელთა და ფრანგების წარმატებას. მათ ჯარს ქებით იხსენიებენ.

— —

„ნიუ-იორკის ტაიმს“ სწერს, გერმანია მალე შეიგნებს თავის გაჭირვებულ მდგომარეობას, დარწმუნდება თავის უძლურებაში და ზავს მოითხოვსო.

— —

რამდენად სერიოზული ყოფილა გერმანელების მდგომარეობა მდ. სომმზე სჩანს იქიდან რომ იმპერატორი ვილჰელმი მეორედ მისულა იქ; მოუსმენია მოხსენებანი და აღმაფრთოვანებელი სიტყვა წარმოუქვამს.

— —

შვეიცარიის გაზეთები იტყობინებიან, ერცჰერცოგ ფრიდრიხისათვის აღმოსავლეთის ასპარეზზე მთავარსარდლობა ჩამოართვეს, ასე რომ ეხლა აღმოსავლეთის ასპარეზის ბედი ჰინდენბურგის და მაკენზენის ხელშია

— —

გერმანული გაზეთები არა ჰფარავენ და იძახიან, რუსები მცირე აზიაში იმარჯვებენ და საერთოდ მდგომარეობა მათ სასარგებლოდ შეიცვალაო

— —

ავსტრიის ორ პროვინციაში, ბიიტარში და ელეშდში ძლიერი სეტყვა მოსულა და ნათესი წაუხდენია.

— —

ჰოლანდიაში გერმანიიდან გამოქცეულ ფრანგ-ტყვეთა სიტყვით გერმანელები რუს-ტყვეებს სასტიკათ ეპყრობიან. რამდენჯერმე ხიშტებით დარევიან და დაუსახიჩრებიათ.

— —

მესოპოტამიის ინგლისელთა საექსპედიციო კორპუსის უმოქმედობამ ბოლოდროს ყურადღება მიიქცია ინგლისელთა ფართე მასისა და მოთხოვეს მთავრობას განემარტა ზემოხსენებულ კორპუსის მდგომარეობა. მოკლე ხანში ხალხის მოთხოვნილებას შეასრულებენ. ასკვიტი თემთა პალატაში წარსდგება მოხსენებით, ხოლო ლარდი კრიუ-ლორდთა პალატაში.

— —

გერმანიის კანცლერის მდგომარეობა გაზეთების იტყვით შეირყა. კიოლნიშე ცაიტუნგი სწერს, სხვა კაცი დღეს არ არის ისეთი, რომ ბეტმან-ჰოლვეგის მაგივრობა გასწიოს და ხალხის და იმპერატორის ნდობით იყოს აღჭურვილიც.

— —

საბერძნეთის პარლამენტი დათხოვნილ იქნება 18 ივლისს. ახალი არჩევნები დანიშნულია სექტემბრისა თვის.

— —

აქამდე რომ იტალია ომს არ უცხადებდა გერმანიას, გაზეთები ამის მიზეზათ ასახელებდენ საიდუმლო ხელშეკრულებას რომელიც უნდა ყოფილიყოს გერმანიას და იტალიას შორის, ეხლა მდგომარეობა იმდენად გაიწვავდა გერმანიასა და იტალიას შორის, რომ ვერავითარი ხელშეკრულება ვეღარ იმოქმედებს იტალიაზე და ომს გამოუცხადებს გერმანიას, რომელიც აშკარად ეხმარებოდა ავსტრიას იტალიის წინააღმდეგ და იარაღსა თუ ჯარს გულუხვად აწვდიდა.

— —

იტალიის გაზეთები ყველა ერთხმად მოითხოვს ომის გამოცხადებას და გერმანიასთან ყოველივე კავშირის შეწყვეტა მოითხოვენ აგრეთვე ძალით გადაეცეს იტალიის მთავრობას იტალიაში დატრიალებული გერმანული კაპიტალი.

— —

იტალიური გაზეთი „კორიერე დელა სერა“ სწერს: გერმანელები ბელგიაში მყოფ იტალიელებს იმიტომ მოეპყრენ სასტიკად, რომ იტალიამ მონაწილეობა მიიღო მოკავშირეთა ეკონომიურ და ფინანსიურ კონფერენციებშიო.

— —

უკანასკნელ დროს სპარსეთის საზღვარზე ოსმალებს დიდი ძალი ჯარი შეუყრიათ და ლამობდენ ინიციატივა რუსებისთვის ხელიდან გამოეცალათ.

— —

მდ. სომმის ასპარეზზე ერთი კვირის განმავლობაში გერმანელებს ნახევარი მილიონი ყუმბარა გაუსვრიათ.

— —

უნგრეთის პირველი მინისტრი ფრანც იოსებთან მისულა, რათა ეხლახან დაწესებულ პარლამენტის საკანტროლო კომისიის და მთავრობის ღონისძიებათა გაერთიანებაა.

— —

გერმანიის საიმპერიო კანცლერი ბეტმან ჰოლვეგი ყოველმხრით სცდილობს სოციალისტებს გული მოუგოს და მოიმხროს. კანცლერს სოციალდემოკრატების ერთ ლიდერისათვის წინადადება მიუცია, ომის შემდეგ გაერთიანებული მუშათა პარტია დააარსონ. ლიდერს წინადადება არ მიუღია.

— —

შვეციის ერთ სააუქციონერო ამხანაგობას ხელშეკრულება დაუდვია გერმანიის მთავრობასთან გერმანიაში გოგირდ-მჟავის სპირტის დასამუშავებლად. ამ სპირტისაგან გერმანელები საქონლის საკვებს ამზადებენ.

— —

ბულგარეთის პარლამენტში დეპუტატ ლაპჩინს სასტიკად გაუკრიტიკებია წლევანდელი ხარჯთაღრიცხვა. ლაპჩინი დაუპატიმრებიათ.

— —

ბულგარეთსა და რუმინეთის შორის სამგზავრო მიმოსვლა შესწყდა, რასაც სამხედრო ხასიათის ღონისძიებებით ხსნიან.

— —

ათინის გაზეთების ცნობით ფრაკიიდან შიგნით ოსმალეთში გადასახლებული ქრისტიანები დიდ გაჭირვებას განიცდიან, ვინაიდან იქ ეხლა დიდი ნაკლებობა ყოფილა პურისა.

---

## სამხედრო მიმოხილვა.

ინგლისელები კვლავ ამოქმედებულან დასავლეთის ასპარეზის ჩრდილოეთ ნაწილში მდ. სომმის მიდამოებში. აქ ბრძოლებს ძალიან მკაცრი ხასიათი მიუღია. გერმანელები ისე ადვილად აღარ ანებებენ სიმაგრეებს და მედგრად წინააღმდეგობას უწევენ. ამ შემთხვევაში დიდ შემწეობას უჩენენ მათ მდიდარი თავდასაცავი ტეხნიკა. აქედან ცხადია გერმანელები უფრთხილდებიან ცოცხალ ძალას. ინგლისელებს კი სწორედ ის სწადიათ, რომ როგორმე გერმანელებიც ცოცხალი ძალებით ჩააბან ბრძოლაში და სწორედ ამიტომაა, რომ ინგლისელებმა სწორეთ ისეთივე ხასიათის ბრძოლა აუტეხეს გერმანელებს, როგორც უკანასკნელებმა აწარმოვეს ვერდენთან. დრო დ დრო მოულოდნელ შეტევებით ინგლისელებს სწადიათ გერმანელების ცოცხალი ჯარები ჩააბან ბრძოლებში, ვინაიდგან მოულოდნელ შეტევების შესაჩერებლად მუდამ ჯარია საჭირო და მარტო ტეხნიკური საშუალებანით ვერას გააწყობენ.

როგორც ეტყობა გერმანელებს ეს გარემოება წინდაწინვე ჰქონიათ გათვალისწინებული და რამდენიმე ვერსის სიღრმით ასპარეზის ჩრდილოეთი ნაწილი ძლიერ საველე სიმაგრეთა ხაზებით დაუფარავთ, ისე რომ მესამე და მეოთხე ხაზის სიმაგრეები სიმკვიდრით არ ჩამოუვარდება პირველი ხაზის სიმაგრეებს.

ცოცხალ ძალას გერმანელები კონტრიერიშებისათვის ინახავენ. ასე გუშინდელ დეპეშის მიხედვით გერმანელებს ლონგვალის ნაწილი დაუბრუნებიათ.

ამნაირად უკან დახევის [illegible] წარმოებულ საარიერგარდო [illegible] სრულიად არა [illegible] გერმანელთა საერთო დახევაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ადრეა.

მხოლოდ, იმედია, ინგლისის მამაცი ჯარი არ დაახანებს და მალე აოტებს გერმანელებს.

შვერდი.

---

## ქართული პრესა.

პირველ და მეორე ხარისხის მოლაშქრეთა ჯარში გაწვევის გამო

გაზეთი „საქართველო“ სწერს.

ამ წერილში ჩვენ გვინდა ზოგიერთ ქართულ დაწესებულებას მოვაგონოთ მისი მდგომარეობრივი უპირატესობა და აქედან გამომდინარე მოვალეობა,—მივიდნენ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან და მოახსენონ ჩვენი ქვეყნის სადღეისო თავისებური ვარამი. ქვეყანას სრული იმედი აქვს, რომ მისი იმპერატორებით უმაღლესობა, კავკასიის მეფის ნაცვალი არ ინებებს, რომ მარჩენალი სოფელი მუშა ხელისაგან დაიცალოს ჯერ მაშინ, როდესაც ქვეყანას საზრდო უზრუნველყოფილი არ აქვს. ოღონდ საჭიროა ყოველივე ეს ეცნობოს მის იმპერატორებით უმაღლესობას დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს. ამისთვის საჭიროა მისვლა და ნამდვილი ვითარების ახსნა განმარტება. და როდესაც მის იმპერატორებით უმაღლესობას საშუალება მიეცემა ახლოს გაეცნოს ჩვენი ქვეყნის ნამდვილ მწუხარებას და თითონ დარწმუნდეს მის გასაჭირში მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ გულა-ვინდებურის დაზოგვით და მზრუნველობით მოეკიდება მისდამი რწმუნებულ ქვეყანას და დაადგის, რომ სოფლის მუშამ მოიწიოს და აკრიფოს თვისი ნაჭირნახულევი და სარჩო-საბადებლის მხრივ ოჯახი და ცოლშვილი უზრუნველ ყოფილი დასტოვოს ჯარში წასვლამდე.

ჩვენი დეპუტატთა საკრებულოები, რომელნიც განსაკუთრებულის უპირატესობით არიან აღჭურვილნი და რომელთაც სასახლეში პირდაპირ მიესვლებათ, ვალდებულნი არიან, ამ იშვიათ მდგომარეობაში, კავკასიის უმაღლეს მთავრობას გააცნონ თავიანთი ქვეყნის და ხალხის დიდი სიდღეისო გადაუდებელი საჭიროება და მით შეაძლებინონ მოახდინოს უსაჭიროესი და მაღალ გონიერი განკარგულება შემოდგომამდე

---

## კაენები და აბელები.

გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატ“-ის იუმორისტულ დამატების უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია კარიკატურა კ. ლიბკნეხტზე.

ეს კარიკატურა წარმოადგენს ბოროტმომქმედის ტიპს სათვალეებში, შუბლზე „კაენის“ ბეჭედი აქვს დასმული, სურათის ქვეშ წარწერილია „დღეიდან შენ გეწოდება კაენი და არა ლიბკნეხტი“.

ეს აღმაშფოთებელი კარიკატურა შეეხება გამოჩენილ კარლოს ლიბკნეხტს, იმ ლიბკნეხტს, რომელმაც კაცობრიობის ამ გამანიავებელ სისხლის წვიმების დროს პირველმა აღიმაღლა ხმა და განაცხადა მთელი კულტუროსან ევროპის საყურადღებოდ, რომ „კმარა ხოცვა-ჟლეტა, კმარა სისხლი, გაუმარჯოს მშვიდობიანობასო“.

გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი“ ზომიერ ლიბერალურ გაზეთად ითვლებოდა. მიუხედავათ იმისა, რომ ამ უმაგალითო დროს იმანაც, რასაკვირველია, მოიხადა თავისი „მოვალეობა“ შოვინიზმის წინაშე, ის მაინც თავდაჭერილად მოქმედებდა და სხვა ბურჟუაზიულ გაზეთებთან შედარებით ის ხალხის თვალში, მეტს პატივისცემას იმსახურებდა.

სახელმწიფოს მტრების მიმართაც კი ეს გაზეთი ერთგვარ კეთილშობილებას იჩენდა, მაგრამ დეპუტატ კ. ლიბკნეხტის მიმართ, მან დაკარგა ყოველივე მოქალაქეობრივობა პრესისა, დაივიწყა ლიბკნეხტის საერთო სამსახური კაცობრიობის წინაშე და მას შუბლზე კაენის ბეჭედი დაასვა.

დავიჯეროთ ერთს წუთს დაუჯერებელი და ვსთქვათ, რომ ლიბკნეხტი კაენია, მაგრამ ვინ არის აბელი? ვის შუბლს ამშვენებს გაზეთი აბელის ბეჭდით?

თუ ლიბკნეხტი კაენია, მაშასადამე მას მოუკლავს ვიღაც აბელი. მაგრამ რომელი?

ლიბკნეხტისაგან მოკლული „ძმა მისი“ არა სჩანს!

ის და ისინი, რისა და ვის წინააღმდეგაც აღიმაღლა ხმა ლიბკნეხტმა და ვისაც და რასაც გამოუცხადა სასტიკი ომი, ცოცხლები არიან, ჯანმრთელნი და მეფობენ გერმანიასა და დანარჩენ მეომარ სახელმწიფოებში.

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვიტყვით, და მეტის მეტიც იქნებოდა ასეთი თქმა, რომ მთელი გერმანია სოდომ-გომორს წარმოადგენდეს და სიმართლის ერთად-ერთი მღაღადებელი გერმანიაში კ. ლიბკნეხტი იყოს. საბედნიეროდ ეს ასე არ არის. სიმართლისა და სამართლიანობის მაძიებელი მარტო ლიბკნეხტი არაა! სიმართლისათვის მებრძოლთა რიცხვი მარტო ლიბკნეხტით არ განისაზღვრება!.....

თუმცა ომის ცეცხლის კვამლი და გასაცვიფრებელი შინაური დისციპლინა ისე გვალანდებს, თითქოს მთელი გერმანია მხოლოდ „ერთს ჰფიქრობდეს,“ მაგრამ ნამდვილად კი,—თუ დავაკვირდებით სალი თვალით,—ჩვენ დავინახავთ, რომ იქ, მოთმენის ძაფები უკვე დამწყდარან, და კარგათ მოსჩანს ალი გამწვავებული შინაური ბრძოლისა!

და ეს ალი შინაური ბრძოლისა, ეს უკმაყოფილება ხალხისა და სურვილი ზავის ჩამოგდებისა, ლიბკნეხტმა—ვით ძლიერი ნებისყოფის ფოკუსმა, შეაერთა, შეჰკუმშა ერთად და მთელ ქვეყნიერობას დაანახვა!

აი, ამან გამოიწვია და იწვევს ლიბკნეხტის წინააღმდეგ სასტიკ აღშფოთებას, ასეთ გიჟურ მქუხარე ხმებს.

ლიბკნეხტი, რომ მარტო იყოს, ლიბკნეხტი რომ ერთად ერთ ობოლ მებრძოლს წარმოადგენდეს ამ შემთხვევაში, მაშინ გერმანიის პრესა დაცინვით უპასუხებდა, სასაცილო ტიკინათ გახდიდა მას, როგორც ულონოს, ბეცს, ორიგინალს, დონკიხოტის ახალ განხორციელებას.

მაგრამ ისეთი ძლიერი პიროვნებები, როგორიც არის ლიბკნეხტი, წარმოადგენენ იმ მაგარ საძირკველს, რომელზედაც აშენდება და დამკვიდრდება დაურღვეველი ციხე-შენობა, რომლის სათავეში მოქცეული იქნება სრულიად სამართლიანი სურვილი ხალხისა, იმ ხალხისა, რომელიც უკვე დაიცალა სისხლიდან და მშვიდობიანობა სწყურია;

ძლიერია ხალხი, მის წინ ყოველივე არარაა. და ლიბკნეხტის მიერ აგებული შენობა წარმოადგენს ხალხის პოლიტიკურათ გამაგრებას, შეჯგუფებას, კრისტალიზაციას.

ლიბკნეხტის ხმა კანონია მწყურვალე ხალხისათვის. ლიბკნეხტი ჩაგრულთა მესაიდუმლეა და ჩაგრულთა რიცხვი ხომ მრავალზე მრავალია! .

აი, ამითი არიან ლიბკნეხტები საშიშნი გერმანიისათვის, აი ამიტომ სძულთ ის „ბერლინელ ტაგებლატ“-ის აბელებს.

ჩვენ, გარეშენი, კარგადა ვხედავთ და ვამჩნევთ თუ რა მამაცობა დასჭირდებოდა, და რა უნდა გადაეტანა კეთილშობილ ლიბკნეხტს, რომ ასეთი ნიადაგი მოემზადებინა იმ დროს და იმ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებოდა ის. ესე იგი, მუდამ ეცვალა დეპუტატის სერთუკი სალდათის მუნდირზე, და ამნაირად მოემზადებინა ნიადაგი და მოეთხოვა ის, რასაც ეტრფის დღეს ყოველი ჩვენგანი, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დღეს სისხლის მორევში მცურავ კაცობრიობისათვის.

ისეთს ისტორიულ წამებში, როგორიც ომი და მისგან გამოწვეული ვალდებულებანია, იქონიოს ადამიანმა გამბედაობა, საქვეყნოდ აღიაროს, რომ ომი, მილიტარიზმი გამანადგურებელია კაცობრიობის, პირველმა ამოიღოს ამის შესახებ ხმა, და მოითხოვოს ზავი, ძლიერ სახიფათო რამ არის, დიდი მსხვერპლია თავის მხრივ კაცობრიობის წინაშე და ძლიერ იშვიათად ხდება ეს, მიუხედავათ იმისა, რომ უძვირფასესი რამ არის ასეთი ხმა სრულიად უდანაშაულო ხალხისათვის.

ომის დროს, რომლითაც იჟღინთება მთელი კაცობრიობა, მთელი სიმამაცე და გამბედაობა ადამიანს გადააქვს ბრძოლის ველზე, და იჩენს სიმამაცეს მხოლოდ სისხლის ღვრაში...

ქაღალდის ფურცლებზე, პუბლიცისტის კალმის წვერზე, მელნის დანთხევაში კი ასეთ დროს ადამიანის სიმამაცე არ იხარჯება, და თუ იხარჯება, ძლიერ ცოტა.

მით უფრო დასაფასებელია ლიბკნეხტი, და მით უმეტეს ისეთ მხარეში, როგორიც არის გერმანია, სადაც რკინის დისციპლინამ ოჯახსა, შკოლასა, პარტიასა, და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში შეიმუშავა და დაამკვიდრა ერთგვარი წესი, ჩვეულება, რომლითაც ადამიანი თავის პირად სურვილებს უმორჩილებს ყველას სურვილს, რომელსაც დაადებს მას ვალად ინტერესები პარტიისა თუ სახელმწიფოისა.

ჩვენ ვხედავთ ლიბკნეხტის მხოლოდ პოლიტიკურ სიმამაცეს, იმ სიმამაცეს და გამბედაობას, რომელსაც იჩენს და აქვეყნებს ის მხოლოდ საზოგადოების არენაზე.

ის დიდებულია, მშვენიერია!

მაგრამ არა ნაკლები სიმამაცე სჭირია ლიბკნეხტს, რომ გადაიტანოს ის წამება, რომელსაც უმზადებენ მას „მცხოვრებნი—მოხალისეები“ გერმანიისა, რომლებიც ვინ იცის რა ზომას არ მიმართავენ ლიბკნეხტის დასაჩაგრათ.

— —

ლიბკნეხტის ცოლი რუსის ებრაელია და აი კიდევ სადაა წყარო ლიბკნეხტის „გასაშავებელი“ აი რით ხელმძღვანელობენ მისი და კაცობრიობის მტრები, რა მახეს უგებენ მას, აი რით ხსნიან ლიბკნეხტის გამოსვლას ომის წინააღმდეგ

„ცოლმა იქონია ქმარზე გავლენა. ცოლი ამოქმედებს მას ამ რიგად რუსეთის ინტერესებისათვისო“.

აი რით ხსნიან „აბელები“ „კაენის“ საქციელს!...

რა დაწვრილმანებაა!

ათას წვრილმან რამეს იგონებენ და მით უწამლავენ სიცოცხლეს არა მარტო ლიბკნეხტს, არამედ მის ცოლსაც, მის ბავშვებსაც. საბრალო მისი რვა წლის პატარა ქალი. რაოდენი ბრალდება, მუქარა, ლანძღვა, გინება უნდა იხილოს და გაიგონოს მან, რომელსაც უგზავნიან მის მამას, და რომელსაც ისმენს ის არათუ ბავშვებიდან მისი თანატოლებიდან, არამედ მოზრდილებიდანაც.

ცოლი ორჯერ მეტად იტანჯება. ის ხომ ზიზღის საგნათ გახდა „ხალხის თვალში. ჯერ ერთი როგორც „კაენის“ ლიბკნეხტის ცოლი, და მეორე, როგორც დაბადებით რუსის ქვეშევრდომი.

ეს ხაზები ლიბკნეხტის ცხოვრებიდან, რომელიც ვერ ხვდება გაზეთის ფურცელზე, და ვტყობილობთ მხოლოდ შემთხვევით გერმანიიდან ჩამოსული პირებიდან, გვიჩვენებს, თუ რა იშვიათი კაჟიგულის და მოუდრეკელი სიმამაცის პატრონი ყოფილა ლიბკნეხტი. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ლიბკნეხტის ცო-

მოლაშქრეთა დატოვების რთველის მოსაწევად.

თუ საჭირო ცნობები საჩქაროდ და თავის დროზე არ მიაწდეს, დამნაშავენი ჩვენ ვიქნებით და სასჯელიც ღირსეულად უნდა გზიდოთ ჩვენ, — კარგი, მაგრამ რა შუაშია საწყალი ხალხი, მაშრვალი სოფელი, რომელმაც არც გზა იცის და არც გვალი და რომელსაც არც პირდაპირი მისვლის საშუალება მოეპოება?! დეპუტატთა საკრებულოსთან ერთად უნდა გაისარჯოს ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირიც

განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება იმას, თუ საქართველოს სამღვდელოების უფროსი, ყოვლად სამღვდელო პლატონიც, საქართველოს ექსარხოსი, მოიღებს ამავე ზრუნვას თავის სამწყსოზედ და გასწევს ზემოაღნიშნულ აუცილებელ შუამდგომლობას მის იმპერატორებით უმაღლესობის, კავკასიის მეფის ნაცვლის დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის წინაშე

იმედიც კარგი რამ არის! დავუმატებთ ჩვენ...

რუსეთის სამინისტროში ახლად მომხდარ ცვლილების შესახებ გაზეთი „სახალხო ფურცელი“ სწერს:

შინაური პოლიტიკის შეცვლას რუსის ლიბერალები ყოველთვის მაშინ მოელიან, როცა ვინმე ახალი დადგება ამ სამინისტროს სათავეში. შტიურმერი, ხვოსტოვი, მაკაროვი — ყველანი ნაცნობი ხალხია, გამორკვეულ ფიზიონომიის მქონებელი, მემარჯვენეების ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი; ამიტომ თუ შეიცვლება ოდნავ რამე, უეჭველია ამ მემარჯვენეთა გეგმით და მათდა სასრგებლოდ. ახალი „ცვლილებანი“ უცილობელი გამარჯვებაა რუსეთის მემარჯვენეებისა, რადგან გარეშე საქმეთა მინისტრი საზონოვი ერთადერთი ადამიანი იყო, ვისაც რუსის ლიბერალები ემადრიელებოდნენ და ამაყობდნენ კიდევაც ნამდვილი „ევროპიული ტიპის სახელმწიფო მოღვაწეაო“, ეხლა ეს მოღვაწეც აღარაა და მინისტრთა კაბინეთი თან და თან ერთფეროვნდება, განსაზღვრულ ხასიათს იღებს. ნელინელ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ შტიურმერმა მოიშორა მოწინააღმდეგენი და ცოტაოდნად „პროგრესიული“ პირები. ეხლა საბჭო შესდგება მთლად მის თანამოაზრეთა და ხელქვეითებისაგან. და თუ რა მიმართულება ექნება შინაურ პოლიტიკას ამისთანა „ცვლილებათა“ შემდეგ, — განმარტება მეტია.

## დეპეშები.

გულმხურვალედ გილოცავთ 35 წლის წყნარ მოღვაწეობას სალიტერატურო ასპარეზზე, ძვირფასო თეოფილე. მიიღეთ ჩემი სალამი.

ანნა იოსელიანი.

— —

# მილოცვა.

### ბ. თეოფილე ხუსკივაძეს.

ქვეყნის მუშაკს სასყიდელი
შესაფერათ გაუსთვინე:
ხარს — ხარულათ,
ფურს — ფურულათ,
მოზვერს — ჩაულაფვათინე.
ხალხური.

გინდ ბუნების ღმერთი იყო, ცის და ქვეყნის შემაერთი,
სიბრძნის ჭურჭლათ ითვლებოდე მსოფლიოზე — ერთად ერთი,
შენი მცნებით მთვრალი იყოს მთელი ერი, ხალხთ — მილეთი,
ბრილიანტით მოგეჭედოს მაღლა ცა და ძირს ხმელეთი.

მერმე, ქვეყნის ჭირს და ვარამს თვლიდე შენი სოფლის მწველათ,
ხალხის ბედი გამოსჭედო, მტერის გულის მოსაწყვლელათ,
ბოროტს ვერვინ ვერ ბედავდეს რა შენ იდგე ქვეყნის მცველათ,
და ცრემლებს ტბათ აგუბებდე, ცოდვილ ქვეყნის მოსარწყველათ,
მაინც არვინ გაიმეტებს სიცოცხლეში გაგახაროს!..
მაგრამ, მერმე ვის რათ უჯობს, ქვეყანამ, რომ ცრემლი ღვაროს!
და თუ ქვეყნის „დიპლომი“ გაქვს, თუგინდ ბრბოში მონაბოჰი,
მაშინ მართლაც: რაც გინდ იყო... „ალჩუზე“ სდგას შენი „კოჰი“.

მთელ ქვეყანას მოედება შენი ქება ჰექა-გრგვინვათ...
და მზის სხივით დაბწნილ „მიტრას“ დაგადგამენ თავს გვირგვინათ.

და ისე კი ვის რათ უნდა, რაც რომ ზევით ჩამოვთვალე?!.
მხოლოდ შენს ვალს შეასრულებ ქვეყანას თუ ენაცვალე...

მართლა, შუა ტანის კაცზე, მეორეა ეს რომ ვნახე!..
მიხარია ქართველთ შორის თქვენი ხსოვნა, შრომის სახე...

რ. საჯავახოელი.

წყნარსა და პატიოსან მუშაკს ჩემი გულწრფელი სალამი.

ალექსანდრე საყვარელიძე.

— —

მწიგნობარი ისიდორე კვიცარიძე ოჯახობით ულოცავს იუბილიარს დემოკრატიულ მოღვაწეობას ეკლით მოფენილ ქართულ სამწერლო, სამასწავლებლო და საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე

— —

გილოცავთ 35 წლის წყნარსა და მშვიდს მოღვაწეობას. იცოცხლე მრავალ ჟამიერ.

სოფიო და იასონ ღოღობერიძენი.

— —

ამ შენთვის დიდმნიშვნელოვან დღეს მიიღე ჩემი მოლოცვაც.

ექიმი ბადრიძე.

— —

უერთდები თეოფილეს სამწერლო მოღვაწეობის დღესასწაულის გამმართველებს. გულწრფელი სალამი იუბილიარს.

სუდაკოვი.

— —

## მილოცვის წერილები.

### ძვირფას თეოფილე ხუსკივაძეს.

„ნაშრომი ნაყოფთა შენთა შჭამო შენ, ნეტარ იყო და კეთილი გეყოს შენ“.

(გალობა დავითისა რკზ.. მუხლი ბ).

თქვენმა პედაგოგიურმა და 35 წლის სამწერლო ასპარეზზე შრომა-მოღვაწეობამ ნაყოფიერი კვალი გაავლო ჩვენს ცხოვრებაში და დღეს თქვენი მოსიყვარულე თანამოძმე ქართველი ერი სულითა და გულით აღფრთოვანებულნი და მადლიერნი გულმხურვალეთ გილოცავენ 35 წლის მოღვაწეობას. მეც თქვენი ნიჭისა და პიროვნების პატივისმცემელი ქართველი მღვდელი დაბა ჭიათურიდან გილოცავ ამ საერთო ეროვნულ დღეობას და მაღალ ღმერთსა ვსთხოვ, რომ თქვენი დაუღალავი ენერგიით, კვლავაც ჩვეულებრივი ნიჭით განაგრძოთ თქვენი მოღვაწეობა თქვენი ნიჭიერი და მშვიდი კალმით ბედკრული მამულისა და ქართველი ერის საკეთილდღეოთ.

„მხნე იყავ და განძლიერდი! ნაშრომი ნაყოფთა შენთა შეჭამო შენ, ნეტარ იყო და კეთილი გეყოს შენ“.

მღვდ. ბესარიონ ვაშაძე.

— —

გულწრფელ სალამს ვუძღვნი თეოფილე ხუსკივაძეს, რომელმაც 35 წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურა სამშობლოს სალიტერატურო ასპარეზზე. ვუსურვებ მას კვლავაც დიდხანს განეგრძოს ერისადმი სასარგებლო სამსახური

ანტონ ოდიშარია.

— —

გულწრფელად გილოცავ ქმრითა და შვილებით ძვირფასო მეგობარო 35 წლის მოღვაწეობის შესრულებას. კვლავაც გისურვებ დაუღალავ შრომას სამშობლოს საკეთილდღეოთ.

კნ. ქრის დგებუაძისა.

# ახალი ამბავი.

### ქ უ თ ა ი ს ი.

**ჯარში გაწვევის გადადება.**

**პეტროგრადი 11 ივლისი. ოფიციალური. უმაღლესი ნებართვით ამა წლის 15 ივლისისათვის დანიშნული პირველი და მეორე ხარისხის მოლაშქრეთა ჯარში გაწვევა გადაიდვა 15 აგვისტოსათვის 4 ივლისის უმაღლესი ბრძანება უმართებულეს სენატს.**

✦ ეპისკოპოსი კირიონი, რომელსაც აქამდის ებარა პოლოცკის და ვიტებსკის კათედრა, გადმოიყვანეს ასტრახანში, ეპისკ. ფილარეტის ადგილზე. (საქ.)

✦ ამ დღეებში ქუთაისში გარდაიცვალა ვაჭარი გიორგი გრიგოლის ძე ცინცაძე. მან დასტოვა ანდერძი, ნოტარიუს კოკოჩაშვილის მიერ შემოწმებული. ამ ანდერძის ძალით თავისი ქონების ნახევარი განსვენებულმა შესწირა წერა კითხვის საზოგადოებას. ვარაუდათ ეს შემოწირულება ფულად იქნება 1,500 მანეთის.

✦ **სანოვაგის ფასები ქუთაისის ბაზარზე:** ფქვილი ფუთი 2 მანეთი და 80 კაპიკი; სიმინდი 2 მან. და 30 კაპ ლობიო ბათმანი 1 მან. და 70 კაპ. ყველი ოყა მანეთი და ერთი აბაზი. ჩარექი 1 მან.

ხილეულობის ფასები: თხილი გარჩეული ფუთი 4 მანეთი, გაურჩეველი 2 მან. ატამი — 3 მან. და 80 კაპ. ვაშლი 2 მან. და 60 კაპ. მსხალი — 3 მან; ბალის ვაშლი 4 მან. უბრალო ვაშლი 2 მან., თეთრი ქლიავი — 2 მან. და 80 კაპ. შავი ქლიავი 3 მან.

ბოსტნეულობის ფასები; კომბოსტო ფუთი — 1 მან. და 60 კაპ კარტოფილი 1 მან. და 70 კაპ. პომიდორი — 50 კაპ. ხახვი — 3 მან. საზამთრო ასი — 22 მანეთი, ნესვი საპალნე — 9 მანეთი, კიტრი ასი — 2 მანეთი

✦ ბაღდათის საზოგადოებას გუშინ მოუვიდა სესხათ დიდძალი სიმინდი სოფლელებს ეგონათ რომ ყველა ჩაწერილი იყვნენ და ყველანი სიმინდს მიიღებდენ, მაგრამ აღმოჩნდა რომ ყველა არ ჩაუწერია აქაურ ჩამწერს.

დანარჩენებმა გუშინ თხოვნა მისცეს მაზრის უფროსს ამათაც გამოუწერონ სიმინდი.

✦ **შუამდგომლობა** სოფელ ქვედა საყულიის, (ქუთაისის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, ნება დართოს გახსნან სოფელ ქვედა საყულიაში მომხმარებელთა საზოგადოება.

✦ სოფელ ტაიას (ზუგდიდის მაზრის), მცხოვრებლებმა, იშუამდგომლეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს მათ გახსნან სოფელ ტაიაში მომხმარებელთა საზოგადოება „ეკონომია“.

✦ წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ხიდისთავის განყოფილებას ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო გახსნან სოფელ გორა ბერეჟოვში უფასო სახალხო სამკითხველო. სამკითხველოს თავჯდომარეთ გუბერნატორმა დაამტკიცა დეკანი პოლიკარპე ნაჭყებია.

✦ ქუთაისის სააზნაურო ქართულ გიმნაზიის გამგე გვატყობინებს რომ მას მოუვიდა: შემდეგი მოწერილობა: აცნობოს 1896 წელს დაბადებულ მოწაფეებს, რომ იგინი სამხედრო სამსახურში გაწვეული იქნებიან ახლავე.

## სამშობლოში.

სიხარულით მოვისწრაფოდი დასავლეთის ბრძოლის ველიდგან კურთხეულ საქართველოსკენ.

ომისა თუ სხვა გარემოებისა გამო, ამ დუხჭირ ხანაში უბედურებასთან ერთად ცხოვრებას დიდი ცვლილებაც დაეტყო საზოგადოდ ყველგან და კერძოთ ჩვენშიაც.

ბრძოლის ველზე სიამოვნებით ვკითხულობდი პრესაში კოოპერატივების გამრავლებასა, სიძვირესთან ბრძოლასა, ქართულ კულტურულ წრის დაარსებასა, ქველმოქმედებასა, ერობასა, მასწავლებელთა კავშირებზე და სხვა.

დიაღ, მიხაროდა მოსვლა და თვალით დანახვა ყოველივე იმისა, რაც პრესაში ლამაზად იყო დაწერილი.

ჩამოვედი თუ არა შევუდექი გაცნობას რამდენადაც შეიძლებოდა. დიდი, სიამოვნებით შევხვდი ჩემ ყოფილ მეგობარ მასწავლებლებს და ვულოცავდი საკუთარი ჟურნალის დაარსებას, მაგრამ...

ბევრი ჩვენი პედაგოგნი ძლიერ გულგრილად შეხვდა ჩემ აგიტაციებს. „ჩვენ ჟურნალში არაფერი ყრიაო“. „დაწუნებულიაო„. არც თვით ამ საზგადოების საქმით არიან დაინტერესებულნი:... „ჟურნალი კი, სჯობს დაიხუროსო“.

მე შევიძინე ჟურნალის ხუთი ნომერი (მეორე-ვერ ვიშოვე) წავიკითხე — დიდათ დამაკმაყოფილა. იქნება ზოგმა სთქვას: „შენ ეგებ ცოტათი კმაყოფილდებიო“.

სრულიადაც არა! მხოლოდ უცბად ბევრის მოთხოვა შეცდომაა.

ასეთი ცოცხლი საქმე ერთი დაკვრით არ გაკეთდება.. დაწყებისთანავე.

ეჭვი არ უნდა გვეპარებოდეს, რომ ჩვენი მასწავლებლები საზოგადოდ სუსტი არიან, და თუ მათ შორის უფრო მომზადებული მოიძებნება, სწორედ ამათ უნდა მხარის დაჭერა გონებრივად, თუ ნივთიერად, ეგებ ამ დასაწყისმა სული არ განუტევოს. თვით ჩვენ გულზე ხელი არ უნდა დავიკრიბოთ. რაც უნდა ენერგიით იყვნენ აღჭურვილნი ისინი, რომლებიც სათავეში უდგანან ჟურნალს, უძლურნი გახდებიან თუ საზოგადოებამ ხელი არ შეუწყო. მაგრამ ჟურნალისადმი მასწავლებელთა გულის გაგრილება სხვა მიზეზსაც გამოუწვევია: სამეგრელოში მასწავლებელთა წარსულ კრებაზე გაურჩევიათ „სკოლა და ოჯახის“ პირველი ნომერი, არაფრად მოსწონებიათ და დასკვნაც გამოუტანიათ. ამით საბაბი მიეცა ბევრს მასწავლებლებს უკვე უარი ეთქვათ ჟურნალის გამოწერაზე: „დაწუნებულია, არაფრად ვარგაო“.

როგორც ვხედავთ, ასეთი რეზოლიუციების გამოტანას სიფრთხილე უნდა, თორემ დიდს საქმეს დიდი ზიანიც მიეცემა.

ახლო მომავალში ქ. ქუთაისში უნდა მოხდეს საერთო კრება; იმედი გვაქვს ამ შეცდომას გაასწორებს კრება და ხელს შეუწყობს ჟურნალის არსებობას. რაც შეეხება ჟურნალისგამომცემლებს და თანამშრომლებს მადლობის ღირსნი არიან. კომენტარიები ზედმეტია.

მაშ ასე, გაუმჯობესება და არა შეჩება, წინსვლა და არა გულის გატეხვა, უკან გახევა და ძველი გზით სიარული.

მასწავლებლად ნამყოფი ალ. ბარბაქაძე.

ლის ორი ძმა წავიდენ მოხალისეებათ: ერთი ბელგიისა, მეორე კი — ფრანგების ჯარში: და ერთ ასპარეზზე, მაგრამ მოპირდაპირე ლაგერებში იბრძვიან, უფრო ებრძვიან ერთი-მეორეს ძმები და ქმარი ქ-ზნ ლიბკნეხტისა.

მაგრამ ვერავითარმა პოლიტიკურ და არა პოლიტიკურ მორიელებმა ვერ იქონიეს გავლენა შეურყეველ კარლოსზე, გერმანიაში დიდი ხნიდან გამქრალი ეპისტოლიარული ლიტერატურა ლიბკნეხტმა კვლავ აამოქმედა, აამეტყველა.

ის გზავნის თავის ქვეყნის ყოველ მხარეს უსახელო სტატიებს დახურულ კონვერტებში სხვა და სხვა ფსევდონიმებით, მაგალითად „სპარტაკის წერილები“.ს--სახელით.

და აი ამ წერილებში ის უკვე სრულ თავისუფლადა გრძნობს თავს, ის თავის თავის ბატონია და თამამად გაჰყვირის მას, რასაც გერმანიის პრესა, (და სხვა სახელმწიფოებისაც) სიჩუმით ატარებს.

და ეჭვი არ არის, რომ ,,სპარტაკის“ აზრებით დღეს ბევრი და ბევრი არის გამსჭვალული; თუმცა იმოდენა გამბედაობა მათ არა აქვთ, რომ საქვეყნოთ აღიარონ თავისი სურვილები. აი აქ არის ლიბკნეხტის მნიშვნელობა ისევ იმაში, რომ მან გამოსთქვა სიტყვით, სთქვა ის, რაიც სულსა დ გულში აქვთ გამჯდარი ასიათეულ ხალხს, მაგრამ ცნობილ მიზეზების გამო სდუმს. აზრი, გრძნობა, როდესაც მივა სიტყვით გამოთქმამდე, როდესაც ნათლად აყვავილდება სიტყვებში, ყველასათვის აშკარა ხდება ის, ყველასათვის, ვინც კი ფიქრობს და აზროვნებს. და ლიბკნეხტის მქუხარე ხმაც უცბად მოედვა და გავრცელდა მთელ ქვეყნიერებაზე.

ჩვენ არ მოვიყვანთ შინაარს იმ „სპარტაკის წერილებისას“, რომელსაც გერმანიის გარკვეულ წრეებში დიდი და დიდი გასავალი აქვს, და დიდი ყურადღებით ისმენენ მას. დაწერილი სხვა და სხვა გამოწვეულ მიზეზებით, ისინი დღევანდელ საჭირბოროტო სხვა და სხვა კითხვებზე გვითითებს. მაგრამ მათში არის რაღაც საერთო, შემაკავშირებელი ყველასი, და აი სწორედ ის, ის არის ყველაზე ძვირფასი და საინტერესო ყველასთვის და მათ რიცხვშიჩ ვენთვისაც. ეს ,,საერთო, გამაერთიანებელი“- არის ბრძოლა იმ საკაცობრიო უფლებებზე და კაცობრიობის დაცვისათვის, რომლის სრულიად მოსპობასაც და მიფუჩეჩებასაც ფიქრობენ ბევრნი ამ ომის დროს. ლიბკნეხტისათვისკი ისინი არ არიან მოსპობილნი მას ვერავინ ვერ მოუშალა, თუ ვერ შესძლო მოეშალათ.

ეს ცოცხალი მებაირახტრე, დაუღალავი ვექილი ადამიანობისა და კაცობრიობისა, რჩება იგივე, რაც იყო ომამდის. და აი ეს მისი ,,პოზიცია ომამდის“ ხდის მას რაღაც განსაკუთრებულათ, მძულვარებისსაგნათ, კაენათ ყველა ,,მათთვის“, — და მათი სახელი კი ლეგიონია, რომელიც ომამდის ლაპარაკობდა, ქადაგებდა ერთს, და ომის შემდეგ კი სულ სხვა ჰანგზე ამღერდენ. ომამდის ზომავდენ ერთი არშინით, და სწონიდენ ერთი სასწორით, ომის შემდეგ კი გამოაჩინეს მეორე არშინი და მეორე სასწორი.

რომ გავიგოთ თუ რამდენათ უკან დაიხია ამ ომის დროს მთელი მოაზროვნე კულტურული გერმანია და მასთან ერთად სხვა ევროპიული და არა ევროპიული სახელმწიფოები, საკმარისია დავაკვირდეთ ლიბკნეხტის გერმანიაში და სხვების მათგვარ სხვა სახელმწიფოებში მდგომარეობას.

ლიბკნეხტი ერთს მიაჩნია ბოროტ მომქმედათ, კაენათ, და მეორეს კი--გმირათ, მოწამეთ, ერთს — ჯალათად, მეორეს — მსხვერპლად, მხოლოდ იმისთვის რომ ის დარჩა იმათ, რაც იყო წინეთ, ომამდის, რომ ის განაგრძობს ადამიანურად სიარულს, და ცქერას ცაზე. ის აზროვნებს ისე, როგორც აზროვნებდა ომამდის. ესე იგი დარჩა ისევ სამართლიანობისა და ადამიანობის კეთილდღეობის მასწავლებლათ.

ლიბკნეხტი ხომ მეტს არ თხოულობს და არ ამბობს, რასაც ამბობდა და თხოულობდა წინად, ომამდის, მაგრამ საქმე სულ სხვაშია. ამ ომმა შექმნა ახალი წელთაღრიცხვა, ის რასაც ამბობდენ და გრძნობდენ ომამდის, ის ომის დაწყებიდან, და ომის დროს გაუქმდა, და ლიბკნეხტი დარჩა რაღაც ვითომდა სხვა ქვეყნიდან მოსული, სხვა მორალურ და ეთიკურ ქვეყნიდან, სხვა პოლიტიკურ მასშტაბებით და ღირებულებით.

საკმარისია დარჩე ისეთივე, როგორიც იყავ წინად, რომ გახდე რაღაც ახალი, უცნობი, მავნე, პუბლიცისტების ქვებით ჩასაქოლი.

აი ასე გადააფასა ომმა ყოველივე ღირებულება, და დაგვანახა კულტურული მდგომარეობა ქვეყნისა. გაბოროტებული და დაბრმავებული გერმანელები (რასაკვირველია, ზედა ფარდულისა) უგზავნიან ლიბკნეხტს წყევა-კრულვას, და უწოდებენ მოსისხლე ძველის სახელს ,,კაენი“.

,,კაენი, კაენი“ — ეს ის კაცია, რომელიც იბრძვის სიმართლის და სამართლიანობისათვის. ეს ის კაცია რომელიც ცდილობს აღადგინოს ადამიანში ადამიანის სახე. ეს ის კაცია, რომელიც ამაგრებს ჩვენში მივიწყებულ რწმენას, მაჩვენებელს იმისას, რომ ამ სისხლის წვიმების დროსაც გერმანიაში დარჩენ ისეთი თავები, და ისეთი გულის პატრონნიც, რომლებიც გრძნობენ და ახსოვთ კაცობის და კაცობრიობის აღთქმანი და მცნებანი. და ვინ არიან აბელები? ისინი ვინც კლავენ რწმენას ძმობისას და კაცობრიობისას? ისინი, ვინც თამაშობენ ძმათამკვლელობის გრძნობის აღმატებაზე? ისინი, ვინც ამტკიცებენ და ქადაგებენ, რომ ,,კაცი კაცისათვის — მგელია“, ისინი?

ეს ის აბელებია, რომლებიც ,,კაენის“ სახელით ნათლავენ ლიბკნეხტს. როგორ უნდა აბნეულიყო ქვეყანა, და არევდარეულ იყო ერთი — მეორეში ყველა მცნებანი, ყველა სიტყვები, ყველა გრძნობები, რომ კაენის სახელით მოენათლათ პიროვნებები, რომელნიც ქადაგებენ ძმობას, ერთობას, ადამიანობას, მათ გამაგრებას და დამკვიდრებას უწყობენ ხელს და აკლავენ თავს, — და აბელებათ კი მოენათლათ ისინი, ვინც ადამიანის, ძმის სისხლში იბანენ ხელ-პირს და ქადაგებენ სიკვდილს, კაცთა — მკვლელობას, მოსპობას ყველა ადამიანურ გრძნობებისას.

აი ასეთია გერმანელი აბელები, და გერმანელი კაენები.

როგორი ვალპურიცვის ღამე დაგვიდგა, რაღაც ბაბილონის გოდოლის დანგრევა, ენის და მცნებების შერევა, როდესაც კაენი ეწოდება იმ პირებს, რომელნიც გვიქადაგებენ ძმობას, ძმურ გრძნობებს, ადამიანის სისხლით ვაჭრობის შეწყვეტას, მოსპობას, და აბელები კი — იმათ, ვინც სპობს ძმობას და ძმურ გრძნობებს, და კაცთა სისხლში ბანაობენ.

რა უცნაური კაენებია და რა საშინელი აბელები!

ეჰ, რა სანთლით საძებარია ჩვენშიც ასეთი კაენები, და რა მრავალია რიცხვი ასეთი აბელებისა.

კაენები იქცენ აბელებად,
აბელები კი — კაენებად.

ილ. ელენტი.

# ქართველი გლეხი.

ჩვენი სამშობლო, როგორც ვიცით, სამეურნეო ქვეყანაა, მაშასადამე ქართველს უმთავრესად თავის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობა მეურნეობის საშუალებით შეუძლია. ჩვენდა საუბედუროდ საქართველოში მეურნეობას მხოლოდ გლეხები მისდევენ. დანარჩენი წოდება და სხვა შემოხიზნული ხალხი, მაგალითად სომხობა და ებრაელობა, მეურნეობას გაურბის და ქართველი გლეხის ნაწარმოებით ირჩენს თავს. არამც თუ ირჩენს არამედ ხშირად კიდევაც მდიდრდება ქართველი გლეხი კი, მიუხედავათ იმისა, რომ დილიდან საღამომდის ოფლში იწურება და, დიდიდან პატარიანად საქმეშია გამბული, ადამიანურად ვერ ცხოვრობს. მისი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობას ოფლში წურვა ვერ შველის რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი ბევრია, მაგრამ უპირველეს ის გახლავსთ, რომ გლეხის ნაწარმოებს დღემდის ღირსეული ფასი არ ჰქონებია. ათი შაური ბათმანი სიმიდი, მანეთი ჩაფი ღვინო და ორი შაური წიწილა, რომელსაც გლეხი ამ ომიანობამდის ღებულობდა, განა ღირსეულ ფასად ჩაითვლება?! აი ასეთმა ფასებმა გაამრავლეს ჩვენში უმუშევარი ელემენტი და გაალატაკა გლეხი ეკონომიურად. დღევანდელი ფასებს გლეხის ნაწარმოებისა სახეში მისაღები არ არის, მიტომ რომ გლეხი თუ თავისას ძვირათ ყიდის, სამაგიეროდ საჭირო ნივთს საჭჯერ უფრო ძვირად ყიდულობს და ამას გარდა ეს—მისი ნაწარმოების ძვირად გაყიდვა დროებით მოვლენაა და მისთვის საჭირო ნივთი, შედარებით, ყოველთვის ძვირი იყო და იქნება. არა, ვისაც ქართველი გლეხი უყვარს უნდა ეცადოს, რომ მის ნაწარმოებს ბაზარი მოუპოვოს რომ ყოველთვის ღირსეულ ფასში გადიოდეს ეს არის ერთად ერთი საშვალება ჩვენი გლეხის გაღონიერებისა და განვითარებისა.

მ. ბუაჩიძე.

# პატარა ფელეტონი

### ს ა ი თ?

უტეხ ტყის ახლოს მომხიბლავ ქალწულივით გაწოლილა მშვენიერი ტბა. მისი სპეტაკი გული გამსჭვირვალეა ისე, როგორც ბროლის შუშა. მისი კიდეები შემკულია ათასნაირ ყვავილებით.

დაქანცული, დაღლილი დღე რომ სავარძელზე გაწვება და თვლემას დაიწყებს. შავგრემანი ღამე ნელ-ნელა რომ მოიპარება, მაშინ ცელქურად მოირბენს სიო და ტბის ტალღებს აათამაშებს. დაუდეგარი! იგი არხევს ყვავილების ღეროებს და მათდა უნებურად ტბის შიშველ ტანს დაანახვებს. მერე ნეტა იცოდეთ რა მორცხვი არიან ყვავილები. საწყლები! სირცხვილისაგან, იწვებიან და დიდხანს, დიდხანს წითელი ალმური სახიდან აღარ სცილდებათ. სიო კი ხითხითებს და მწვანე ტყის ფოთლებისაკენ მიაქვს ეს ამბავი.

ნელ ნელა ამოგორდება მთვარე და ეშხიანად თვალს უზამს მოკამკამე ტბას. მიბნედილი სხივები დაიწყებენ ნავარდს მთვარიდან ტბამდე და ტბიდან მთვარემდე, იშიკრიკებენ. დიდი დრო არ არის საჭირო! მალე, სულ მალე, გაიბმება სიყვარულის ქსელი.

მიყვარს შეყვარებულთა კვნესა გულისა! ვდგევარ ახლოს და თვალს ვადევნებ მათ სახეებს... ყურს ვუგდებ მათ ოხვრას ..

უცბათ ტბის შუა გული განათლდა. უცნაური სილამაზის ასული ამოვიდა და სპილოს ძვლის სავარცხლით თმის ვარცხნა დაიწყო...

მისი მშვენიერი პირსახე მიაგავდა ახლად გაშლილ ვარდს, რომელსაც მკვნესარე ბულბული ჯერ არ დაჰკონებია... მისი თეთრი ტანი მოგაგონებდათ ნაზლბილ ახლად გაპენტილ ბამბის ქულას... ცისფერი თვალები კი ამბობდენ რაღაც უცნაურს სამარადისოს და მომხიბვლელს. ბროლ ფიქალ გულ მკერდსა და კისერს უფარავდა წაბლისფერი თმა, რომელიც საამურად ღელავდა.

მან მარჯნის მსგავსი ტუჩები ნელა გააპო, თეთრი ელვარე კბილები გამოაჩინა და სიმღერა დაიწყო.

წარმტაცი ჰანგები გაიფანტა ჰაერში და მყუდროებამ ნელ-ნელა გულზე მიისვენა. ასული მღეროდა ჰიმნს სიყვარულისას...

ხატავდა თუ სიყვარულის სითბოთი როგორ დნება ადამიანის გული... თუ როგორი ნაზი, წარმტაცი და ბარბაითივით ტკბილია ეს გრძნობა.

საუცხოვო სიმღერა იგი აპობდა ჰაერს და ეთეროვანი ხელებით ეალერსებოდა ჩემი ყურთა სმენას.. სიხარულმა გულმკერდი ზღვასავით ამიღელვა.

— ასულო! შემიბრალე.. ნუ შეწყვეტ სიმღერას.—შევღაღადე მე და იგი კვლავ მღეროდა იმედსა, გატაცებასა და ოცნებებზე. მომჯადოებელ ხმებით და ფერადებით დახატა ბრძოლა იდეალისთვის, სამშობლოისა და კაცობრიობისათვის.

მალოცხლებელი ძალა დაინერგა ჩემს გულში. მე ახლა აღარაფრისა არ მეშინია მე ვეზიარე მშვენიერი ასულის სიმღერით და ვერავინ ვერ დამძლევს... ამ დღიდან მეფე ვარ..

მაგრამ აი წითლათ გამოწყობილი ჯალათი ჩემსკენ მოდის. ვინმე და ვინ-ჯალათი! ნეტა რა უნდა ჩემგან? იქნებ სიზმარში ვარ და მე ცხადი მგონია?

— გიბრძანებ? ჩქარა მობრუნდი და გზას დაადექ!—-უხეში ხმით მეუბნება იგი.

შიშმა გულზე მომიკაკუნა და ხელ ფეხი ამიცახცახა...

— რათა? რა დაგიშავე?—წამოვიკვნესე მე—ხელები სისხლში არ შემისვრია. ჰკუაზედაც სრულიათა ვარ. რა გინდა ჩემგან? მაცალე; მე მინდა ყური ვუგდო ამ დამათრობელ სიმღერას და გახალისებული ვიწყო ცხოვრება.. მაცა .

— ჩქარა! არ გესმის!—მან ტლანქათ ხელი მომავლო და მიმათრევს.

— ახ! რა ძნელია როცა შენ ნებას ფეხ ქვეშ თელავენ. ახ! რა ტანჯვაა სიამაყეს რომ ასე დაგიჩაგრავენ!..

ვიწრო ბილიკზე, გადატიტვლებულ კლდეებში მიმათრევს იგი... ასულის ხმა ჯერ კიდევ მესმის და ოცნების სამეფოში გადავყავარ... მაგრამ ხმას თანდათან ვშორდები. სიმღერა ძლივს აღწევს ჩემს ყურებამდის და აი კიდეც მისწყდა! ღმერთო! ღმერთო! ნუ თუ ველარ გავიგონებ ამ ხმას? —ჯალათო შემიბრალე! ცოტა ხნით მაინც დამაბრუნე იმ საუცხოვო მიდამოში! ცოტა ხნით მაინც მომისმინე ქალწულის გამაგიჟებელი ხმები! შემიბრალე!

— წადი! დაბრუნდი!—მრისხანეთ ჩაილაპარაკა მან და ხელი მიშვა. სიხარულმა იფეთქა. მსწრაფლ მოვბრუნდი. ორი წუთი კიდევ და ტბის ნაპირებზე დავიბადები.

ახ! დაიმხამა წუთიერი სიხარული: გზა ჩაქცეულია და საშინელ ნაპრალს გველვეშაპივით დაუღია პირი... ტბა კი შორს არის .. შორს. .

— ხა! ხა! ხა!- გულის მომწამვლელათ ხარხარებს ჯალათი და ისევ წინანდებურათ მიმათრევს.

ახ! რა ძნელია ამ წვეტიან ქვებზე სიარული!

პატარა ბილიკი.. აქეთ იქით მაღალი კლდეები... განვლილი გზის ნაცვლათ საშინელი უფსკრული. სად უნდა გავიქცე? მაგრამ ჯალათი მაინც მიმათრევს და შეუბრალებლათ მჩაგრავს...

— ჯალათო! მითხარი: ვნახავ როდისმე იმ ქალწულს? მოვისმენ როდისმე მისს სიმღერას?

— ვერასოდეს.

— ჯალათო, სისხლის მწოვო ჯალათო! მითხარი მაინც, მითხარი საით მიგყევარ?

— საით?

— სიბერისაკენ!—ხრიწიანი ხმით ჩაილაპარაკა მან.

აბესალომ ტაბიძე.

# პროვინციის ცხოვრება.

### ხარაგაულის ვითარება

ეს ერთი ხანია, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, ხარაგაულიდან ერთი მეორის საწინააღმდეგო წერილები იბეჭდება. ამ წერილების შინაარსი ნათლად მოწმობს, რომ ხარაგაულში, იქაურ მოღვაწეებს შორის, პირად სულისკვეთებას, საკუთარს „მეს“ და თავის თავის გამოჩენის იდეიას განვითარების უმაღლეს წერტილამდის მიუღწევია.

ამ წერილებიდან ისიც ნათლად სჩანს, რომ ის ორი ჯგუფი, რომელიც ამ ჟამად ხარაგაულში მუშაობს, ერთმანეთს არ ინდობენ და ერთმანეთის დასამცირებლად აღარაფერს აღარ ზოგავენ. გარეშე მკითხველი, რომელმაც ხარაგაულის ვითარება ნამდვილად არ იცის, ამაში ვიადლად ვერ დარწმუნდება. მაგრამ იქაური ცხოვრების მიმდინარეობის კარგად მცოდნესათვის ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა როგორც ორჯერ ორი ოთხია.

მე. როგორც ხარაგაულის რაიონის მკვიდრ მცხოვრებს, ამდაბის აწეწილ დაწეწილი საქმეები და მომქმედ ჯგუფებს შორის დამყარებული ურთიერთობა დიდათ მაწუხებს და იქ დაწყებული კულტურული საქმეების შეუფერხებლობისათვის განვიზრახე საქმის ნამდვილი ვითარება მკითხველ საზოგადოებას ვაუწყო.

შორაპნის მაზრის სხვა დაბებთან შედარებით (მაგალითად: საჩხერე, ჩხარი) ხარაგაული სულ ახალი გაშენებული დაბაა. მისი უწინდელი სახელი „ფოშტაა“, ხარაგაული კი ერთი პატარა სოფლის სახელია, რომელიც ეხლანდელ ხარაგაულის, სამხრეთის მხრით, ორი ვერსის მანძილით შორავს. სანამდის ბათომ-ბაქოს რკინის გზის ლიანდაგს გაიყვანდეი ქუთაისიდან თბილისში მიმავალ საფოსტო ცხენებს ხაშურ ზესტაფონიდან ყოველთვის ეხლანდელ ხარაგაულში ასვენებდენ და ცვლიდენ. აი ამისათვის დაერქვა „ფოშტა“. ეხლა ამ ადგილს „ფოშტის“ სახელწოდებაც წაერთვეს და ხარაგაულისაც და „ბელოგორად“ მონათლეს.

ხარაგაულის პირველ დაწყებითი სკოლა, რომელიც 1875 წ გაიხსნა, დიდხანს ამშვენებდა ჩვენს საყვარელს „ფოშტას“ იმ ადგილიდან, სადაც ახლა ქალების სამინისტრო ორ კლასიანი სასწავლებელი დგას.

ბევრს სოფლის ბიჭს აუხილა თვალები ამ სასწავლებელმა და სწავლის გემო გააშინჯვა. ხარაგაულის დანარჩენმა ეხლანდელმა კულტურულმა დაწესებულებებმა სიცოცხლე უმთავრესად მოძრაობის შემდეგ იწყეს. მოძრაობის ადრე აქ ტრიფონ თაბუკაშვილი მუშაობდა და საზოგადო საქმიანობაც იმან შეაყვარა ხალხს.

მოძრაობის წინ, თითონ მოძრაობის ჟამს და მის შემდეგაც ამ უკანასკნელ ორ წლამდის ხარაგაულის მაჯის ცემა და მისი გამოფხიზლება დასელებმა იდვეს თავზე. იმათ სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ მათ არა მცირედი ღვაწლი მიუძღვისთ ხარაგაულის განვითარებაში. ის კულტურული დაწესებულებები, მცირე გამონაკლის გარდა, რომლებიც დღეს ხარაგაულს ამშვენებენ, დასელების მეოხებით არიან წარმოშობილნი.

ამ უკანასკნელ ხანებში (ბ. კოწია ჯაფარიძის დროიდან) დასელების შრომის განაწილებაში სხვა ელემენტებიც ჩაერია. სანამდისაც ინიციატივა დასელების ხელში იყო იგინი, ამ დაუპატიჟებელ სტუმრებს, მუშაობას, საზოგადო ასპარეზზე, არ უშლიდნენ, მაგრამ ბოლოს სტუმრებმა მასპინძლობა მოინდომეს და თავის პირვანდელ „როლს“ აღარ დაჯერდნენ. ამ გარემოებას ხარაგაულის პირვანდელი ბატონ პატრონნი ვერ შეურიგდნენ და თავის იდეიურ მოწინააღმდეგეებს გაშორდნენ და განცალკევებულად იწყეს მუშაობა. ასევე მოიქცა მეორე მოწინააღმდეგე მხარეც ეხლა, ორივე ეს ჯგუფები, ერთმანეთს ექიშპებიან და თავის ქიშპობით საზოგადო საქმის განვითარებას აფერხებენ.

ორივე ჯგუფის მეთაურებს თავი დიდ საზოგადო მოღვაწეებათ მოაქვთ და ამ სახელის მოსახვეჭათ საკმარისი ჰგონიათ, ხარაგაულის სცენაზე თამაში, სამკითხველოს საწევრო გადასახადის მოკრება, წვრილი კრედიტის ამხანაგობაში მუშაობა, მომხმარებელი საზოგადოების გახსნა-დაარსება და სხვა ამგვარი წვრილმანი საქმიანობა.

განცალკევებული მუშაობის დროს იმდენათ პარტიული ანგარიშები არ ამოქმედებსთ, რამდენათაც პირველობის დასაკუთრება და საკუთარი სახელის განდიდება. მამაკაცებმა იმდენი მოახერხეს, რომ მანდილოსნებიც ჩაიყოლიეს განხეთქილებაში და ეს ნაზი არსებანი ერთმანეთს სალანძღავად დაუპირდაპირეს. აქაური მანდილოსნების უმრავლესობა დღემდის ენერგიულად იყო ჩაბმული კულტურულ მუშაობაში და ხელი-ხელ ჩაკიდებული ეწეოდენ შრომის ჰაპანს. დღეს ისინიც ჯგუფებად დაიყვენ.

ძმურად ურჩევ ხარაგაულის მეთაურებს პირად კინკლაობას თავი დაანებონ და ხალხის უმეცრებას შეერთებული თანხმური ძალღონით შეებრძოლონ. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები მოკინკლავეების სახელი და გვარი გაზეთის ფურცლებზე გამოვაშკარავო.

მ. ფარცხნალელი.

———

**ქ. გუმბრი** (ალექსანდროპოლი). აქ დიდი ხანი არ არის, რაც დაარსეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება. ამ ჟამათ საზოგადოებას 400 მეტი წევრი ჰყავს.

თავჯდომარეთ არჩეულია ქუთაისში ცნობილი თვალის ექიმი გიორგი ქორქაშვილი, რომელსაც აქ უფროს დოქტორის ადგილი უჭირავს.

გამგეობა დიდის ხალისით და ენერგიით მოქმედობს. სხვათა შორის განზრახულია ყოველთვის სისტემატიურად გამართონ წირმოდგენები სცენის მოყვარეთა დახმარებით. აქაურ წარმოდგენებზე ქართველობა სიამოვნებით ესწრება ხოლმე, ხანდახან მსურველთა რიცხვი იმდენია, რომ უადგილობის გამო ბევრი გულდაწყვეტილი სახლში ბრუნდება. წარმოდგენები იმართება ეგრედ წოდებულ „სახალხო სახლში“, სადაც 400 მეტი მაყურებელი ეტევა.

ჩვეულებრივ წარმოდგენების გარდა გამგეობის თაოსნობით გაიმართება რამდენიმე სადღესასწაულო საღამოც. სხვათა შორის, პირველი ასეთი საღამო დანიშნულია ამ თვის ბოლო რიცხვებში. ეს საღამო იმართება აკაკის პატივ საცემლად. როგორც გადმოგვცეს, ამ საღამოზე ლექციის წასაკითხად მოწვეულია ბ. ალგარსევანიშვილი.

მეორე საღამო ეგნატე ნინოშვილის სახსოვრად გაიმართება; ლექტორად სხვათა შორის ასახელებენ პეტრე გელეიშვილს.

დროებით გუმბრელი.

———

**სოფელი ძევრი.** (ქუთაისის მაზრა.) ჩვენი სოფლის საზოგადოება უზომო შიმშილობას განიცდის ისე როგორც მთლად ზემო იმერეთი.

მოსავლის იმედი აღარა გვაქვს. გვალვისაგან ყანები სულ მოისპო. ერთი ათად მეტი უბედურება მოელის ხალხს. საჭიროა სოფლის ბანკებმა ახლავე დაიკვეთონ სიმინდი იმ ადგილებიდან, სიდანაც საშუალება არის. ეს კია, რომ ხალხი გულ გატეხილია ბანკებზე, რადგან შაბიაბანზე დიდი დაბრკოლება მიიღეს.

ივლისის პირველს, შუადღისას გლეხს ივანე ჩიხლაძეს თავს დაესხნენ ყაჩაღები, წართვეს 1000 მანეთამდე და არხეინად გზას გაუდგნენ.

საღამოზე ძირულის პირად ჩანს [illegible] ტყვით მოკლული [illegible] ის ყოფილა ერთი ყაჩაღთაგანი, სოფ. როდინოულის მცხოვრები ლუტიძე, რომელიც თავის ამხანაგებსავე მოუკლავთ ფულის გაყოფის დროს.

ძევრელი

# რედაქციისაგან

შორაპნის მაზრის, მესამე განყოფილების მომრიგებელი შუამავალი ბატონი გრ. ცხაკაია გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ჩვენი გაზეთის სამი ივლისის ნომერში დასტამბული ცნობა იმის შესახებ, რომ ვითომც ის ხელს უშლიდეს სამეურნეო აღწერილობის ნორმალურ მსვლელობას, ყოველ საფუძველს მოკლებულია.

ვწუხვართ, თუ რედაქცია შეცდომაში შეუყვანია ამ წერილის ავტორს.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“.**




## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 7 ს. 25 წ. |
| „ | საღამ. | 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | დღისით | 12 ს. 40 „ |
| „ | ღამის | 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | დილის | 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 6 ს. 50 „ |
| შორაპნიდან | დილის | 9 ს 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 11 ს. — |
| „ | ღამის | 12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 3 „ |
| „ | დილის | 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | დღისით | 4 ს. 8 „ |
| ტყიბულისკენ | დილის | 6 ს. 20 „ |
| შორაპნისაკენ | დღით | 5 ს. 20 „ |

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო**

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა. კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილი „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ

# საღი კუჭი

# ჟელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულად შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ უაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული უაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. უაზზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ სათვალსათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს უაზზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია უაზზობისაგან. **ჟელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი.

9 (წლიური)